

ფსიქიკური ჯანმრთელობა და ხანდაზმული ადამიანები¹

ფაქტები

- მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად ბერდება. 2015-2050 წლებში 60 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობის წილი 12%-დან 22%-მდე გაიზრდება;
- ხანდაზმულ ასაკში ფსიქიკური ჯანმრთელობა და ემოციური კეთილდღეობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სიცოცხლის ნებისმიერ პერიოდში;
- ნეიროფსიქიკური დარღვევების წილი ხანდაზმულ ასაკში 6.6% -ია;
- 60 წლის და უფრო მეტი ასაკის მქონე ადამიანების 15%-ს ესა თუ ის ფსიქიკური დარღვევა აქვს.

60 წლის და მეტი ასაკის ადამიანების როლი მნიშვნელოვანია როგორც ოჯახის, ასევე ქვეყნის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ უმრავლესობას კარგი ფსიქიკური ჯანმრთელობა აქვს, თუმცა გარკვეული ნაწილი ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების რისკის ქვეშ არის. ნევროლოგიური დარღვევები კი იწვევს ჯანმრთელობის მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, როგორცაა: დიაბეტი, სმენის დაკარგვა და ოსტეოპოროზი. ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების ერთდროულად განვითარების რისკიც.

პრობლემა

მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად ბერდება. 2015-2050 პერიოდში ხანდაზმული ადამიანების წილი 12-დან 22%-მდე გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ 60 წლის და უფროს ადამიანთა რიცხვი 900 მილიონიდან 2 მილიარდს მიაღწევს. ხანდაზმული ადამიანების წინაშე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევები.

60 წლის და უფროსი ადამიანების 20% იტანჯება ფსიქიკური და ნევროლოგიური დარღვევებით. ამ ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტად გავრცელებულ ნეიროფსიქიკურ დარღვევად დემენცია და დეპრესია გვევლინება. შფოთვითი აშლილობები აღენიშნება ხანდაზმული ადამიანების 3.8%-ს; ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად მოხმარებით გამოწვეული დაავადებები კი თითქმის 1%-ია. 60 წლის და უფროსი ადამიანების სიკვდილობის 25% გამოწვეულია თვითდაზიანებებით; ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება ხანდაზმულ ადამიანებში ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, ან არასწორი დიაგნოზის შედეგია.

სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები და თვითონ ხანდაზმული ადამიანები არასაკმარის ყურადღებას აქცევენ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს, ხოლო სტიგმა, რომელიც უკავშირდება ფსიქიკურ დაავადებებს, აიძულებს ადამიანებს არ მოითხოვონ და არავის მიმართონ დასახმარებლად.

ფსიქიკური დაავადების რისკ-ფაქტორები ხანდაზმულებში

ფსიქიკური ჯანმრთელობის სტატუსი განისაზღვრება მრავალი სოციალური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ფაქტორებით. სტრესის გავლენით ბევრი ასაკოვანი ადამიანი კარგავს დამოუკიდებლად ცხოვრების უნარს. შეზღუდული მობილობის, ქრონიკული ტკივილების, სისუსტის ან სხვა ფიზიკური თუ ფსიქიკური პრობლემების გამო ისინი საჭიროებენ ხანგრძლივ მოვლასა და მზრუნველობას. გარდა ამისა, ხანდაზმულ ასაკში ხშირია ახლობელი ადამიანის დაკარგვა, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის დაქვეითება, შესაძლებლობების შეზღუდვა ინვალიდობა. ყველა ამ ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს იზოლაცია, დამოუკიდებლობის დაკარგვა, მარტობა და ფსიქოლოგიური სტრესი ხანდაზმულ ადამიანებში.

ფსიქიკური ჯანმრთელობა გავლენას ახდენს ფიზიკურზე და პირიქით. მაგალითად, გულით დაავადების მქონე ხანდაზმულ ადამიანებში მაღალია დეპრესიის მაჩვენებელი მათთან შედარებით,

ვისაც კარგი ჯანმრთელობა აქვს. და პირიქით, თუ დეპრესიაზე არ იმკურნალა გულით დაავადებულმა ხანდაზმულმა ადამიანმა, ეს ნეგატიურად აისახება მის ფიზიკურ მდგომარეობაზე.

ხანდაზმული ადამიანი შესაძლოა გახდეს ცუდად მოპყრობის, ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ემოციური, ფინანსური, და ასევე მატერიალური ძალადობის მსხვერპლი. ასევე ხშირდება მითოვება, ყურადღების გარეშე დატოვება, უგულვებელყოფა, ადამიანური ღირსების უპატივისცემლობა. დღეისთვის არსებული ფაქტობრივი ინფორმაციით შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ყოველი მეათე ხანდაზმული ადამიანი არასათანადო მოპყრობის მსხვერპლია. ცუდმა მოპყრობამ შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ფიზიკური დაზიანება, არამედ გრძელვადიანი ფსიქოლოგიური შედეგი, მათ შორის დეპრესია და შფოთი.

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თემში

ხანდაზმულ ადამიანებში ჯანმრთელობის მდგომარეობის, ქრონიკული დაავადებების მართვისა და დაავადებების პროფილაქტიკისათვის აუცილებელია სოციალური დახმარების არსებობა. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადება ხანდაზმულობის ასაკთან დაკავშირებული მენტალური დარღვევებისა და პრობლემების საკითხში.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია ხანდაზმული ადამიანებისათვის ეფექტური პირველადი ფსიქიკური დახმარების გაწევა თემში. არანაკლებ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ზრუნვა მენტალური დარღვევების მქონე ხანდაზმულ ებზე; ასევე იმ ადამიანების განათლება, პროფესიული მომზადება და მხარდაჭერა, რომლებიც აღნიშნული პრობლემების მქონე ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნავენ.

ფსიქიკური დარღვევის მქონე და მათზე მზრუნველი ადამიანებისთვის მაღალი ხარისხის დახმარების გასაწევად, აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი გარემო, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანთა უფლებების დაცვას.

ჯანმოს ქმედებები

ჯანმოს პროგრამამ „აქტიური და ჯანმრთელი ხანდაზმულობის“ შესახებ საერთაშორისო დონეზე შექმნა მოქმედების გლობალური ჩარჩო.

ჯანმო მხარს უჭერს მთავრობის გეგმებსა და მიზანს - პოლიტიკაში ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგიის წარმატებულ ინტეგრაციას.

ჯანმო დემენციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უდიდეს პრობლემად აღიარებს. ჯანმოს ანგარიში „დემენცია: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტი“, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე უწევს ადვოკატირებას შესაბამის ქმედებებს.

დეპრესიასა და სხვა პრიორიტეტულ ფსიქიკურ დარღვევებთან ერთად, დემენცია ჩართულია ჯანმოს პროგრამაში: „Mental Health Gap Action Programme (mhGAP)“. პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება მწირი რესურსების მქონე ქვეყნებში ფსიქიკური და ნევროლოგიური დარღვევების, ასევე ფსიქოტროპული ნითიერებების მიღების შედეგად გამოწვეული დარღვევების მქონე ადამიანთათვის რეკომენდაციებისა და ინსტრუმენტების საშუალებით.

2015 წელს ჯანმომ ამ საკითხზე პირველი მინისტრიალი მოიწვია. კონფერენცია ეხებოდა დემენციის სანინააღმდეგო გლობალურ ქმედებებს. მის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ეკონომიკაში დემენციით გამოწვეული პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ხელს უწყობდა სახელმწიფოს წევრებისა და დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობებისა და როლის უკეთ გაგებას. გარდა ამისა, მინისტრიალმა, კონფერენციის მონაწილეთა მხარდაჭერით, მიიღო „მონოღება მოქმედებისაკენ“

ⁱ <http://www.who.int/mediacentre/factsheets/fs381/en/>